

ინტერნეტ ოლიმპიადა 2015 (გაზაფხულის სესია)

ტესტური დავალებების ნიმუშები

ისტორია

1. რომელ სახელმწიფოებთან ბრძოლაში განადგურდა ასურეთის სახელმწიფო ძვ.წ VII საუკუნიდან?

ხეთებისა და მიდიის  
ეგვიპტისა და ხეთების  
ბაბილონისა და ეგვიპტის  
მიდიისა და ბაბილონის

2. 1800 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლის თანახმადაც ქართლ-კახეთის სამეფო უქმდებოდა. რამ შეუშალა ხელი ამ მანიფესტის განხორციელებას?

საქართველოს მთიანეთში დაწყებულმა აჯანყებამ  
რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის დაწყებამ  
საქართველოს მეფის უეცარმა გარდაცვალებამ  
შეთქმულთა მიერ იმპერატორის მკვლელობამ

3. VI საუკუნეში, 542-562 წლებში იუსტინიანე I და ხოსრო ანუშირვანი ერთმანეთს ებრძოდნენ. რა ეწოდა ამ დაპირისპირებას ისტორიაში?


დიდი თურქობა საქართველოში  
დიდი ომიანობა ეგრისში  
ბართლომეს ღამე  
ირან-ოსმალეთის დაპირისპირება

4. ვესტგოთებმა 410 წელს აიღეს ქალაქი რომი. ვინ იყო მეთაური ვესტგოთებისა ამ დროს?

ოდოაკრი  
ალარიხი  
სტილიქონი  
ატილა

5. რომელ ომს  
ასახავს  
სურათზე  
ნაჩვენები  
რუკა?

I პუნიკურ ომს  
II პუნიკურ ომს  
III პუნიკურ ომს  
„მონათა დიდ აჯანყებას“



ტესტის პასუხები:

1	მიდიისა და ბაბილონის
2	შეთქმულთა მიერ იმპერატორის მკვლელობამ
3	დიდი ომიანობა ეგრისში
4	ალარიხი
5	II პუნიკურ ომს